შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(1) 1. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ შუშანიკი ეუბნება იაკობ ხუცესს:

„ხოლო უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაი ჩემი მისგან“.

რატომ უხარია შუშანიკს, რომ ვარსქენი ტანჯვას მიაყენებს?

(2) 2. იოანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ აბოს შესახებ ნათქვამია:

„ვერ განაცხადებდა თავსა თვისსა სრულად ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეის მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტეისი“.

1. ვისი ეშინოდა აბოს, როცა ქრისტიანობისადმი თავის დამოკიდებულებას მალავდა?
2. რა კონკრეტული მიზნით ეძებდა აბო უსაფრთხო ადგილს? (ციტირება დაუშვებელია)

(2) **3. თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აშოტ კურაპალატი მიმართავს დედა ფებრონიას:**

„ – სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ხელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგუითუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

1. რა იყო რეალური მიზეზი იმისა, რომ აშოტ კურაპალატს *„მეჭურჭლე ქალის“* სასახლეში დაბრუნება სურდა?
2. რას ნიშნავს სიტყვები: *„ყოველი მოგუითუალოს“*?

(6) **4. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ავთანდილი უცხო მოყმის საძებნელად გაემგზავრა:**

1. ვისი დავალებით მიდის ავთანდილი ტარიელის მოსაძებნად?
2. რას ნიშნავს ავთანდილის სიტყვები: *„მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს“*?
3. რის თქმა სურს ავთანდილს სიტყვებით: *„ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ“*?
4. რა უამბო ავთანდილს ორმა ხატაელმა, რომლებსაც მძიმედ დაჭრილი ძმა მოჰყავდათ?
5. რატომ არ დაეწია ავთანდილი ტარიელს, რომელსაც ორი დღე-ღამის განმავლობაში შორიახლოს მისდევდა?
6. რა მიზნით დააპირა ავთანდილმა მარტოდ დარჩენილი ასმათის შეპყრობა?

(2) **5. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:**

„პირსფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო.

სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო;

ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,

მაზე სული არ წარვსწყმინდო, რა გინდ ხორცით დავიკარგო!“

1. რას ნიშნავს სიტყვები: *„ზე სიმართლით ავიბარგო“*?
2. რა აზრს გამოხატავს ამ სტროფის უკანასკნელი ორი სტრიქონი?

(2) 6. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ მეფე ფინეზზე ნათქვამია:

„ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა“.

1. ფინეზის რა კონკრეტული თვისება ჩანს ამ სიტყვებში?
2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ამ ფრაზაში?

(2) **7. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „საღამო გამოსალმებისა“ ვკითხულობთ:**

„აწ დავჰშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!

ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულწყლულსა?“

1. ვის მიმართავს ლირიკული გმირი სიტყვებით: *„შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!“*?
2. რატომ მიიჩნევს ლირიკული გმირი, რომ *„ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს...“*? (ციტირება დაუშვებელია)

(2) 8. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“.

1. რას უწოდებს პოეტი *„ფუჭსა“* და *„მხოლოდა ამაოებას“?*
2. რა კონკრეტული მანკიერებაა მხილებული ლექსის მონაკვეთში:

„ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,

და რაც მიელოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს“?

(2) **9. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“.**

1. რატომ შეიკავეს თავი გიორგის მოჯამაგირედ აყვანაზე არჩილმა და კესომ?
2. როგორ გესმით ოთარაანთ ქვრივის სიტყვები: *„ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა“*?

(2) 10. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავი“.

1. რა მოითხოვეს ქართველმა სარდლებმა, როცა ბერძენთა დასახმარებლად საქართველოდან ჯარის გაგზავნის საკითხი გადაწყდა?
2. რას ჰპირდებოდნენ ბერძნები ქართველებს დახმარების სანაცვლოდ?

(2) 11. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.

1. ონისე ამბობს: *„მოკვდეს ის კაცი, ვინც მოძმეს ვერ გაიტანს, შერცხვეს ის ქუდოსანი, ვინც მეზობელს ღალატად შეადგების!“*.

   ონისეს რა თვისება ჩანს ამ სიტყვებში?

2. რა უთხრეს თემის მოთავეებმა ხევისბერს, როცა მან ონისეს დასჯა მოითხოვა?

(3) 12. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“.

1. როცა ალუდა მუცალთან გამართული ორთაბრძოლის შესახებ მოუთხრობდა თანასოფლელებს, რა სიტყვით მოიხსენია მან ქისტი, რამაც უშიშა საშინლად აღაშფოთა? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)
2. კონკრეტულად რისთვის ვერ გაიმეტა ალუდამ მუცალი?
3. ვის ეუბნება ალუდა ამ სიტყვებს: *„ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ...“*?

(2) 13. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

1. მამის ქორწილის შემდეგ რატომ იკავებდა თავს პლატონი, რომ ბრეგაძეებისათვის „საქვრივო“ გამოერთმია?
2. რა მოსალოდნელი საფრთხის შიშს გამოხატავს პლატონის სიზმარი?

(2) **14. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.**

კონსტანტინე არსაკიძე შემთხვევით აღმოჩნდა ეკლესიაში, სადაც მელქისედეკ კათალიკოსი ქადაგებდა.

1. რის შესახებ საუბრობდა მელქისედეკ კათალიკოსი?
2. როგორ აისახა ეს ქადაგება შემდეგ არსაკიძის შემოქმედებაში?

(2) **15. გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „თოვლი“.**

1. რა განცდას გამოხატავს ლირიკული გმირი სიტყვებით: *„ძვირფასო! სული მევსება თოვლით...“*?
2. პოეტი ამბობს: *„მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში ...“*

   რა უყვარდა მას საყვარელი ქალის ხმაში? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)

(2) 16. გაიხსენეთ ტიციან ტაბიძის ლექსი „ანანურთან“.

1. ლექსის დასაწყისში რასთან კონტრასტით გამოხატავს ლირიკული გმირი საოცნებო ქალთან დაშორებით გამოწვეულ განცდას? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)
2. რა მხატვრული საშუალებაა:

„გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები...“?

(2) 17. გაიხსენეთ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“.

1. რა მიზნით გაიტაცა ცხენი მოთხრობის მთავარმა გმირმა?
2. როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ბრბო განსხვავებული პიროვნების მიმართ?

(2) **18. გაიხსენეთ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“.**

1. ნაწარმოების დასაწყისში ბელადი ამბობს:

„იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება...

ასეთი რამ ჯერ არც ერთ ბელადს არ ეთქვა.

იგი მიხვდა, რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა“.

იგის აზრით, რა არის *„რაღაც ახალი“*, რაც ამქვეყნად გაჩნდა?

2. ნაწარმოების დასასრულს იგი ხვდება, რომ დიდი დაძინების ქარაფზე აუცილებლად წელგამართული უნდა ავიდეს – ვის გამო იღებს ის ამ გადაწყვეტილებას?

II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „გორა მბორგალი“ პერსონაჟი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მოქალაქე რეზო გოშხოთელი ჰყვება, თუ როგორ ჩარჩა თავის მეგობართან ერთად ქალაქ ოდესაში, სადაც ბოლშევიკებსა და თეთრგვარდიელებს შორის სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული:

ათას ცხრაას ოცი წლის თებერვლის თოთხმეტია, საღამო. სასტუმროში ვარ, ვიღაცას ბილიარდს ვეთამაშები… მითხრეს – იქ ერთი ახალგაზრდა კაცი სახელითა და გვარით გკითხულობთო. გავედი. მოსული დამაკვირდა და ბარათი გადმომცა.

„ძმაო რეზო! იმედი მაქვს ამ ბარათის მომრთმევს დახმარებას აღმოუჩენ. თეოფილე“.

გამეცინა, – თეოფილე ეჯიბიამ აქაც მომნახა-მეთქი. ვკითხე, რა სახის დახმარება სჭირდებოდა.

– ხუთასი მანეთი ოქროთი. ასე გვიფასებს ერთი ჩვენი კაცისა და საკუთრივ ჩემს სიცოცხლეს ოფიცერი, რომელმაც ფულის მისატანად გამომიშვა... ორი საათის მერე გვიან იქნება. თუ არ მივიტანე, ჩემს ამხანაგს დახვრეტენ და მე ჩვენები ლაჩრობას დამწამებენ. იარაღიც მჭირდება, ხელცარიელი ვარ. მთავარი კი ის არის, რომ ამ სასტუმროდან როგორმე უნდა გამაპაროთ. შემოსვლის დროს კინაღამ ამიყვანეს, გამოვიქეცი. კონტრდაზვერვა ყველა გასასვლელს აკონტროლებს...

ნომერში ავედით. ორმოცდაათი ოქროს თუმნიანი გადავუთვალე. თავით ფეხამდე ჩემი ტანისამოსი ჩავაცვი – ჩოხა-ახალუხი, ჩექმები, ქამარ-ხანჯალი და მაუზერიც ვაჩუქე, რომლის ტარების ოფიციალური უფლება ადრევე თეთრების შტაბში მქონდა აღებული. ჩემი პასპორტი მივეცი და გრიგოლს ვუთხარი, – გაჰყევი, გაიყვანე-მეთქი. გრიგოლმა ჩემოდანი გაიყოლა, რომ ჩემი ტანისამოსი უკან მოეტანა... ჩვენი ნომრის ფანჯრიდან ყველაფერი კარგად მოჩანდა. ჯერ ბადრაგმა გაუსინჯა საბუთები. ბადრაგს გასცდნენ და ახლა აგენტებმა გააჩერეს. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, წავიდნენ. ჩემოდანი

იქითობას არ გაუჩხრეკიათ, მაგრამ აქეთობას რომ გაეჩხრიკათ, ჩემი პასპორტი აღმოეჩინათ, ჩოხა ეცნოთ და მდგომარეობა გართულებულიყო? არც ის იყო გამორიცხული, რომ გრიგოლის დაბრუნებამდე სასტუმროში მოეწყოთ ჩხრეკა, ჩემთვის პასპორტი მოეთხოვათ. ერთი სიტყვით, საქმე საარხეინოდ არ იყო. ჩვენდა ბედად, საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა. ღამის სამი საათი იქნებოდა, კონტრდაზვერვამ ალყა მოხსნა, საითღაც წაშავდნენ.

მალე გრიგოლიც გამოჩნდა, ჩემოდნითვე მოდიოდა, ნომერში უდავიდარაბოდ ამოვიდა.

იმ ახალგაზრდა კაცისა სახელიც კი არ ვიცოდი. წავიდა და წაიღო ყველაფერი, ალბათ, სამუდამოდ, როგორც ამგვარ შემთხვევათა უმრავლესობაში ხდება, მაგრამ არც ყოყმანი მქონია, არც რამე დამნანებია, რაც გავაკეთე, ყველაფერი სწორად მიმაჩნდა... კაცს – რევოლუციონერს – დახვრეტა ელოდა, მისი გადარჩენა ხუთას მანეთად შეიძლებოდა. ბოლოს, თეოფილე ჩემი ძმაკაცი იყო, მოვალე ვიყავი, მისი თხოვნა შემესრულებინა...

თვრამეტ და ცხრამეტ თებერვალს, ორი დღე-ღამის მანძილზე, თეთრებმა, ოდესის ნავსადგურსა და მიდამოებში თუკი რამ გემი, ხომალდი და ნავი იყო, ყველა საჯარისო ნაწილებითა და აუცილებელი ტვირთით პირთამდე გაავსეს და ნაპირს სამუდამოდ მოსწყდნენ. ოც თებერვალს ღამით ბოლშევიკები შემოიჭრნენ ოდესაში და უთავბოლო ხვრეტას მიჰყვეს ხელი...

ღამით სასტუმროში ჩეკამ[1] მოგვაკითხა. გაგვჩხრიკეს, ოქმი შეადგინეს, თუკი რამ ფასეული გვებადა, წაგვართვეს და ჩეკაში წაგვიყვანეს... ბევრი ვუმტკიცეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები ვართ, რომ თეთრებთან არაფერი გვაქვს საერთო და მეტიც, მათთან ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით... „კედელს ცერცვი შეაყარეო“, – ყურად არავინ არაფერი იღო... გაგვაქანეს და საკანში შეგვყარეს. ასამდე პატიმარი დაგვხვდა, ტევა არ იყო... ათასი ჯურის ხალხი მოერეკათ. უმრავლესობა – სამოქალაქო ტანისამოსს ამოფარებული თეთრი ოფიცრები, მაღალი წრის რამდენიმე არისტოკრატი, თეთრებს ატორღიალებული ბობოლები, ვიღაცად მიჩნეული უდანაშაულო პირები.

[1] **ჩეკა** - საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების სამსახური.

იმ ღამეს ჩვენი გვარ-სახელები ჩამოწერეს... დილის ათი საათი იქნებოდა, დერეფანში სათითაოდ გაგვიყვანეს, ხელები ბაწრით გაგვიკოჭეს, წინ გაგვიგდეს, ჟანდარმერიის ეზოში ამოვყავით თავი... ის იმდენი ხალხი ერთ რიგად რას დავეტეოდით, ხროვად დავდექით. გრიგოლი და მე კედელს ავეკარით... ვიდექით და ველოდით. სწორედ ჩემ პირდაპირ ბელეტაჟის ფანჯარა პირთამდე ღია იყო. კითხვა ამეკვიატა, – ამ ყინვაში ღია რატომ უნდა იყოს და მაგ ოთახში ვინ და რამდენი კაცი უნდა იჯდეს-მეთქი? მოგეხსენებათ, გამოუვალი ვითარებებისთვის სრულიად ნორმალურია, რაღაც სისულელე აგეკვიატება... ეს ფსიქოლოგიური მომენტია, ორგანიზმის დაცვითი რეაქცია. ამასობაში ვიღაც უმცროსი მეთაური გამოვიდა და სიის ამოკითხვას მისდგა. საცოდავი, ბორძიკ-ბორძიკით, დამარცვლითა და მაინც დამახინჯებით კითხულობდა. ივანოვი რომ ივანოვია, ისიც კი „იგნანოსოვად“ ბრძანა... გრიგოლმა ჩამჩურჩულა, – გახსოვს ნატანებში კრება რომ ჩაატარე, მაშინ სთქვი, – რევოლუცია ჩაგრული, უმეცარი მასების აქტიურ მოქმედებას გამოიწვევსო! აგერ, მასები!...

ის იყო, სიის კითხვა უნდა განეგრძო, რომ ღია ფანჯრიდან მოისმა: – სამოტეევ, ის ორი ჩემთან ამოიყვანე!..

გაგვიგდო წინ და წავედით. სანამ კიბეს ავივლიდით, თვალწინ ის კაცი წარმომიდგა, ჩვენი მიყვანა რომ ბრძანა... რატომღაც თეოფილეს ახალგაზრდა კაცს მივამსგავსე. გამეცინა, – განწირული რას არ წარმოიდგენს-მეთქი... ბადრაგმა ზურგს უკან გაკოჭილ ხელებზე ბაწრები შეგვაჭრა და კაბინეტში შეგვიყვანა. სწორედ ის ახალგაზრდა იყო, თეოფილესი!..

ორთავეს ხელი ჩამოგვართვა, – დაბრძანდითო... თავი გაგვაცნო – გვარად იარემჩუკი ვარო, თქვენი გვარ-სახელები გარკვევით დაწერეთო, – ღიმილით გვითხრა. ზარი დააწკარუნა... ჩეკისტი შემოვიდა, ბრძანება მიიღო... ათიოდე წუთის შემდეგ, რაც ჩამოგვერთვა, ხელთ გვქონდა. ისიც გვაცნობა, – ოდესაში მხოლოდ სამ დღეს დავრჩები, გაითვალისწინეთო. ბეჭდიანი მანდატები გადმოგვცა და საუკეთესო სურვილებით გამოგვისტუმრა... ქუჩაში გაბრუებულები გამოვედით. ჩვენი გამოსვლა იყო, ბარე ათმა შაშხანამ ერთდროულად იქუხა და ამას ხანგრძლივი, უწესრიგო სროლა მოჰყვა. უნებლიეთ ქუდები მოვიხადეთ. ორიოდე გამვლელმაც მოიხადა, პირჯვარი გადაიწერა, ჩვენსავით უმალვე დაიხურა, ჩვენსავით სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით მიჰყვა თავის გზას.

ოდესაში ერთი ქუჩაა, ხელოსნები სხედან – მეუნაგირეები, მექუდეები, თერძები. მათ შორის ბევრი ქართველი იყო. იქ მივედით, ჩოხა-ახალუხი დავყარეთ, სამოქალაქო ტანსაცმელი შევიძინეთ. ქართველებმა იცოდნენ, დასახვრეტად რომ წაგვიყვანეს, უკვე საიქიოს ვეგონეთ. დაგვინახეს, ზოგს ცრემლიც კი წამოუვიდა...

ფრანგი მწერლის, ერიკ-ემანუელ შმიტის, რომანის „ულისე ბაღდადიდან“ პერსონაჟი საად საადი ცდილობს თავი დააღწიოს მშობლიურ ერაყში გაჩაღებულ ომს და ხსნა ევროპაში პოვოს, თუმცა იტალიის საზღვარზე იჭერენ[2]:

მესაზღვრეები – ბუნებრივია, მათ ჟურნალისტებმაც აუბეს მხარი – ჩვენი სატვირთო მანქანის დაკავებას ზეიმობდნენ. თავს იქებდნენ იმით, რომ ჩვენს დამამცირებელ გადაადგილებას წერტილი დაუსვეს. დიდი ამბით აღწერდნენ, რომ 30 ადამიანი, მათ შორის, შვიდი 18 წლის მოზარდი, ექვსი კვადრატული მეტრის სივრცეში შეჭეჭყილი ცალ ფეხზე მდგომი მგზავრობდა. სინანულს გამოთქვამდნენ, რომ გადამყვანი გაექცათ. სამაგიეროდ, ჩვენთან დაკავშირებით დასანანი არც არაფერი ჰქონდათ, რადგან ჩვენს ბედს უკვე გადაწყვეტილად მიიჩნევდნენ. როგორც მაწანწალა ქუჩის ძაღლებს, ჩვენ სხვადასხვა თავშესაფარში – გამოჭერილ ძაღლთა სადგომებში – გადანაწილება გველოდა. ზოგიერთს პატრონს – საკუთარ ქვეყანას – ჩააბარებდნენ. თუ, რა თქმა უნდა, მათი ვინაობისა და სადაურობის დადგენა მოხერხდებოდა. არავის ესმოდა, რომ ჩვენთვის სამშობლოში დაბრუნებაზე უარეს კატასტროფას კაცი ვერ მოიფიქრებდა. არავინ უშვებდა, რომ ჩვენთვის და ჩვენი ოჯახებისათვის განკუთვნილი დანაზოგები უნამუსოდ აგვწაპნეს. ვერც ვერავის წარმოედგინა, რომ ჩვენი ახლობლების იმედებსაც თან დავატარებდით. არა, ისინი ფიქრობდნენ, რომ პირნათლად მოიხადეს სამსახურებრივი მოვალეობა. თავში

[2] თარგმანი **მერაბ ფიფიასი.**

აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ანგრევდნენ და აცამტვერებდნენ 30 ადამიანის სიცოცხლეს, ხოლო მათ უკან 30 ოჯახის, ანუ დაახლოებით 200-300 სულის ჩვენზე დამყარებულ იმედებს...

როცა დასაკითხად ჩემი გაყვანა ისურვეს, ჯერ კიდევ ნაპერწკლებს ვყრიდი. როგორც კი კაბინეტში ფეხი შევდგი, მჭექარე ხმით ინგლისურ ენაზე გამოვაცხადე:

– მე საჩივარი შემაქვს სასამართლოში იმ მესაზღვრეების წინააღმდეგ, რომლებმაც ჩემი გადაადგილება შეაფერხეს. გუშინ საღამოს წამართვეს მძღოლი, ამართვეს ფული და რამდენიმე თვის ნაწვალები წყალში გადამიყარეს... ბოლო წლების განმავლობაში ვინ მოთვლის, რამდენ ისეთ გასაუბრებას გავუძელი, რომელთა მსგავსის მოწყობასაც ახლა თქვენ აპირებთ. დამერწმუნეთ, არც ერთს არანაირი ნაყოფი არ გამოუღია. როგორც ჩანს, მართებულად არ ვპასუხობ, რადგან ყოველ ჯერზე ყველაფერი ჩემს ცხვირწინ კარის მიჯახუნებით მთავრდება.

– ან, შესაძლოა, ძალიან კარგადაც პასუხობთ, რადგან ჯერჯერობით აქ ხართ და შინისკენ მიმავალ გზას არ გაგიყენეს.

გამეღიმა. თვალები დავხარე. ეს არატიპური ჩინოვნიკი ბევრად უფრო ჭკვიანი და გონიერი აღმოჩნდა, ვიდრე ის, ბოლო ჯერზე რომ მიბურღა ტვინი... სიგარეტი შემომთავაზა, რომელზეც უარი ვთქვი. თვითონ თავისთვის მოუკიდა... რამდენიმე ნაფაზის შემდეგ შემომიტრიალდა:

– მე მიყვარს ჩემი ხელობა, ბატონო, რადგან მომწონს ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა. თქვენს შემთხვევაში ისეთი განცდა მაქვს, რომ ჩემს პროფესიას არ ვემსახურები. გარდა ამისა, ვგრძნობ, რომ ვკარგავ დროს, ვკარგავ რწმენასაც. დიახ, რწმენასაც საკუთარი მოვალეობისადმი...

ოფიცერმა ნაძალადევად გაიცინა და ჩემკენ გადმოიხარა:

– ჩემს თვალში თქვენ არ ხართ არარაობა.

– ეს წმინდა წყლის ბლეფია. თვალს მიხვევთ, არა? ახლა ფანჯრიდან რომ ვისკუპო, რა თქმა უნდა, მესვრით.

ოფიცერი გაკვირვებისგან უკან გადაიხარა:

– თქვენ ამის შესახებ იფიქრეთ?

– რომ ტყვიას დამახლით?

– არა, ფანჯრიდან გადახტომაზე.

– დიახ!..

ოფიცერმა საწერი მაგიდიდან სულ რაღაც ორი მეტრით დაშორებით გამოჭრილი ფანჯრისკენ გაიხედა...

– თქვენ ჩემი შეკითხვა უპასუხოდ დატოვეთ. მესროდით? – განვაგრძე მე ჯიუტად...

– და თქვენ როგორ ფიქრობთ?

ერთმანეთს ხანგრძლივი, დაჟინებული მზერა მივაპყარით.

– ჩემი აზრით, არა, – სიფრთხილით შევბედე მე.

– მართალი ბრძანდებით, – ასევე ფრთხილად დამიდასტურა მან.

ორივემ თვალები დავხარეთ. გარკვეული პაუზის შემდეგ ისევ წამოვიწყე:

– მიიღეთ უსაფრთხოების ზომები, რაღას ელოდებით, დახურეთ ფანჯარა.

– მცხელა... თქვენს ადგილას ფეხით გადავჭრიდი საზღვარს... მთების გავლით. ალპურ საძოვრებზე მესაზღვრეები ამჟამად არ დგანან.

– მართლა?

– დიდი სისულელე იქნებოდა, გზით გევლოთ და სასაზღვრო გამშვებ პუნქტს მისდგომოდით. თუმცა მე ამას ნამდვილად არ უნდა გეუბნებოდეთ. ამან შესაძლოა ჩვენს სამსახურს დიდი ზიანი მიაყენოს... მაგრამ ნუ დაკარგავთ ლოგიკის უნარს, ნუ გაგვეჩხირებით თვალში. იქ, სადაც ვდგავართ, მოგვარიდეთ თავი და წაბრძანდით იქ, სადაც ჩვენი ყოფნა ნაკლებად სავარაუდოა. ლოგიკურია, არა?

აღფრთოვანებული გატაცებით ვიმახსოვრებდი მის მინიშნებებს. გავუღიმე. გამიღიმა... შემდეგ ოფიცერი ფანჯრისკენ გაეშურა. კიდევ უფრო ფართოდ გააღო ის და თან ეზო მოათვალიერა.

– რა უცნაურია, გარეთ კაცის ჭაჭანებაც კი არაა! – ჩაიბურტყუნა მან.

სრულიად ბუნებრივად ოფიცერი მაგიდას მიუბრუნდა. სავარძელში მოკალათდა და პატაკის კითხვაში ჩაეფლო. გეგონებოდა, ჩემი არსებობა საერთოდ დაავიწყდაო.

ორჭოფობამ ამიტანა. ჩემს გასამხნევებლად ოფიცერმა ჭაღს ახედა და დაამთქნარა.

წამიც არ უნდა დამეკარგა. ადგილიდან მოვწყდი. ფანჯრის რაფას შევახტი და ეზოში ვისკუპე. ერთი სართულის ქვემოთ ფისმოსხმულ ზედაპირზე დავეშვი და წელში გავსწორდი. მანქანების სადგომის ბოლოში კარიბჭე დავლანდე და თავქუდმოგლეჯილი იქით გავვარდი.

ქუჩაში როგორც კი აღმოვჩნდი, უკან ერთხელ მაინც მოვიხედე. ფანჯრის ჭრილში ოფიცრის სილუეტი გავარჩიე. მშვიდად და აუჩქარებლად აბოლებდა. თვალთახედვის არედან ჩემს სრულ გაქრობას ელოდა, განგაში რომ აეტეხა.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *არ აღემატება 120 სიტყვას,* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ჭაბუა ამირეჯიბის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ერიკ-ემანუელ შმიტის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!